

სტატისტიკური ანგარიში 2016 წელს საქართველოს უზენაეს სასამართლოში შემოსული და განხილული საქმეების რაოდენობის შესახებ

2016 წელს საქართველოს უზენაეს სასამართლოში სულ შემოვიდა 3265 საჩივარი და განცხადება, მათ შორის 1002 - სისხლის სამართლის საქმეზე (სულ შემოსული საქმეების 30,7%), 1293 – სამოქალაქო საქმეზე (39,6%), 970 – ადმინისტრაციულ საქმეზე (29,7%).

2015 წელთან შედარებით შემოსულ საქმეთა რაოდენობა შემცირდა 5,5%-ით.

2016 წელს სულ განხილულია 3434 საჩივარი და განცხადება, მათ შორის 1369 – სისხლის სამართლის საქმეზე (სულ განხილული საქმეების 39,9%), 1246 – სამოქალაქო საქმეზე (36,3%), 819 ადმინისტრაციულ საქმეზე (23,8%).

2015 წელთან შედარებით განხილული საქმეების რაოდენობა გაიზარდა 2,2%-ით.

სისხლის სამართლის საქმეთა პალატა

2016 წელს, 2015 წელთან შედარებით საკასაციო ინსტანციაში შემოსული საკასაციო და კერძო საჩივრების რაოდენობა გაიზარდა 10,8%-ით, ხოლო განხილული საჩივრების რაოდენობა - 19,7%-ით.

წლის ბოლოს განუხილველად დარჩენილი საქმეების ხვედრითი წილი 2015 წლის 31,8%-დან შემცირდა 2016 წლის 28,2%-მდე.

2016 წელს სულ განხილულია 757 საკასაციო საჩივარი (21,5%-ით მეტი, ვიდრე 2015 წელს) 954 პირის მიმართ (12,8%-ით მეტი). უცვლელად დატოვებული განაჩენების (განჩინებების) ხვედრითი წილი დარჩა 2015 წლის დონეზე და შეადგინა 90,7%.

სამოქალაქო სამართლის საქმეთა პალატა

2016 წელს, 2015 წელთან შედარებით საკასაციო ინსტანციაში შემოსული საკასაციო და კერძო საჩივრების რაოდენობა შემცირდა 5,0%-ით, ხოლო განხილული საჩივრების რაოდენობა შემცირდა 27,3%-ით.

წლის ბოლოს განუხილველად დარჩენილი საქმეების ხვედრითი წილი 2015 წლის 18,6%-დან გაიზარდა 2016 წლის 26,1%-მდე.

საანგარიშო პერიოდში განხილულ იქნა საკასაციო საჩივრით შემოსული 860 საქმე, რომელთაგან გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა 713 საქმეზე და გაუქმდა 147 საქმეზე. უცვლელად დატოვებული გადაწყვეტილებების (განჩინებების) ხვედრითი წილი 2015 წლის 85,9%-დან შემცირდა 2016 წლის 82,9%-მდე.

ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა პალატა

2016 წელს საკასაციო ინსტანციაში შემოსული საკასაციო და კერძო საჩივრების რაოდენობა 2015 წელთან შედარებით გაიზარდა 10,2%-ით, ხოლო განხილული საჩივრების რაოდენობა შემცირდა 12,4%-ით.

წლის ბოლოს განუხილველად დარჩენილი საქმეების ხვედრითი წილი 2015 წლის 22,0%-დან გაიზარდა 2016 წლის 33,1%-მდე.

საანგარიშო პერიოდში განხილულია საკასაციო საჩივრით შემოსული 699 საქმე; რომელთაგან გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა 644 საქმეზე, გაუქმდა 55 საქმეზე. უცვლელად დატოვებულ გადაწყვეტილებათა ხვედრითი წილი დარჩა 2015 წლის დონეზე და შეადგინა 92,1%.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2016 წელს საკასაციო საჩივრით განიხილა 699 ადმინისტრაციული საქმე, აქედან ადმინისტრაციული ორგანოების სასარგებლოდ დამთავრდა 239 საქმე, ანუ 34,2%, ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ კი – 450 საქმე, ანუ 64,4%. საგადასახადო დავებზე განხილული იყო 93 საკასაციო საჩივარი, აქედან საგადასახადო ორგანოების სასარგებლოდ გადაწყდა 24 საქმე, ანუ 25,8%, ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ კი – 68 საქმე, ანუ 73,1%.